ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის

ოქმი № 42

2010 წლის 30 ივნისი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტ "საინჟინრო კოლეჯის" დეკანის არჩევა;
2. ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლის გიორგი ჯაფოშვილის განცხადების განხილვა ენტომოლოგიურ კოლექციასთან დაკავშირებით;
3. ინოვაციური სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობის წესის განხილვა;
4. ფაკულტეტ "საინჟინრო კოლეჯის" კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით ერთი ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მერაბ სვანაძე - სხდომის მდივანი;
3. გურამ ყიფიანი;
4. დავით მიქელაძე
5. მალხაზ მაყაშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

2010 წლის 30 ივნისის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. **დადგინდეს -** ფაკულტეტ "საინჟინრო კოლეჯის" დეკანად არჩეულ იქნას 2010 წლის 2 ივლისიდან ლაშა კოკილაშვილი 4 წლის ვადით;
2. **დადგინდეს** - ეთხოვოს უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიგი თევზაძეს, გამართოს კონსულტაციები ზოოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთან ბატონ გიორგი ჯაფოშვილთან და ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება აკადემიურმა საბჭომ ენტომოლოგიური კოლექციის კურირების საკითხთან დაკავშირებით.
3. **დადგინდეს -** სამეცნიერო პროექტების ხელშეწყობის მიზნით სამეცნიერო პროექტის წმინდა მოგების 50% პრემიის სახით მიეცეს ინოვაციური სამეცნიერო პროექტის გამომგონებლებსა და შემსრულებლებს, ხოლო მოგების 50 % - უნივერსიტეტს. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს;
4. **დამტკიცდეს -** გამოცხადდეს კონკურსი ფაკულტეტ "საინჟინრო კოლეჯის" კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით ერთი ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე 2010 წლის 9 ივლისიდან, საკონკურსო განაცხადები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული.

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

მერაბ სვანაძე